განმცხადებელი : ხათუნა ბერიძე
თარიღი : 07-01-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 7;პრინციპი 10;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** ტვ 25 https://www.facebook.com/TV25ge
სადავო მასალა **:**

1. https://www.facebook.com/TV25ge/videos/418010786710356
2. https://fb.watch/ao78J8z4RA/
3. https://www.facebook.com/TV25ge/photos/a.296362447170120/2279998585473153/?type=3

დამატებით მასალა:

1. https://www.facebook.com/100004527585370/posts/2167109313449967/
2. https://www.facebook.com/100004527585370/posts/2167795670047998/

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება **:**

პრინციპი 1 ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ტვ 25 აქვეყნებს პირად გვერდიდან აღებულ ფოტოს, სადაც წერია 1. ხათუნა ბერიძე ენმ ის სახე. 2. ტვ 25 ზე თავდამსხმელი. ორივე შემთხვევა წარმოადგენს სიცრუეს და საზოგადოება განზრახ შეჰყავს შეცდომაში, ვინაიდან მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაცია ალტერნატივას და არამხოლოდ ენმ ის, არამედ ყველა ოპოზიციური პარტიისა, თუ უბრალო მოქალაქეების გვარდით დგას აღნიშნული ორგანიზაცია. პრინციპი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა გამოიყენა მხოლოდ ჩემს მიერ გადაღებული ვიდეო, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ წყაროს და არ იქნა გადამოწმებული, არც უშუალოდ ჩემთან, ან რომელიმე ქორწილში მყოფ პირთან, მათ შორის არც რესტორანსა და მის ადმინისტრაციასთან, არ არის გადამოწმებული ქორწილში რა რეგულაცია დაირღვა , ვინაიდან ქორწილი ჩატარდა ყველა წესის დაცვით, პისიარ ტესტებისა და მწვანე პასპორტის გამოყენებით, ასევე დისტანციის დაცვით , მაგიდებსა და დარბაზში ფეხზე მდგომ ადამიანებს შორის. სადეზინფექციო ხსნარებისა და ყველა რეგულაციის დაცვა დაადასტურა შესაბამისმა სამსახურებმა სიუჟეტის გასვლის შემდეგ. პრინციპი 4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს. ფოტო გამოყენებული ტვ 25 ის გვერდზე მადისკრიმინერებელი წარწერით , რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ჩემს შეურაცხყოფას , რაც არაერთხელ გამოიხატება წლებია ჩემს მიმართ ტვ 25 ის მხრიდან არაერთ განცხადებასა ,თუ სიუჟეტში . (თანდართულ ფაილში იხილავთ 1 წლის წინ გაკეთებულ ცრუ და მადისკრიმინერებელ სიუჟეტს, სადაც ინტერვიუ დაჭრილი და კონტექსტიდანაა ამოღებული) პრინციპი 5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ამ დრომდე არ არის წაშლილი, ან ჩასწორებული პოსტი ფოტოსურთით, რომელშიც საზოგადოება აღმიქვამს , როგორც საშიშ დამნაშავედ. ფოტოს კომენტარებში განიხილება , თუ რა შინაარსის მუქარა განვახორციელე, თუ რა სახის თავდასხმა ტვ 25 ის მიმართ. ასევე შეურაცხმყოფელია მხოლოდ ერთ კონკრეტულ პარტიასთან ჩემი გაიგივება და უფრო მეტიც მის სახედ გამოცხადება, როცა ყველა ოპოზიციური პარტიის ოფისსა , თუ აქციაზე ვარ არაერთგზის დღემდე დაფიქსირებული. პრინციპი 7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე;

ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. ფოტოზე კომენტარს საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში და ჩემი მისამართით ხორციელდება შეურაცხმყოფელი და მადისკრიმინირებელი კომენტარები, რომლებიც არ იშლება, თუმცა პირადად მე შემიზღუდეს კომენტარის გაკეთების უფლება, ვინაიდან ჟურნალისტების მხრიდან არაერთი ქეიფის და რეგულაციების დარღვევის ფოტოები გამოვაქვეყნე აღნიშნული პოსტის კომენტარებში. მაშინ როცა თავად უპასუხისმგებლოებს გვეძახიან, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების და არამარტო მათი დარღვევის ამსახველი ფოტოები მივაწოდე საზოგადოებას. ამის შემდგომ საშუალება აღარ მომეცა პასუხის გაცემის.არც ერთხელ არცერთი ჟურნალისტი არ დამკავშირებია და პასუხი არ მოუსმენია ჩემგან, არც ,მაშინ, როცა გადაცემა ჩემზე ჩაწერეს და პარტიის წევრები თუ ჟურნალისტები განმიხილავდნენ, როგორც თავდამსხმელს, მედიის შეურაცხმყოფელ და უპასუხისმგებლო პიროვნებად. პრინციპი 10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. პირადი გვერდიდან ფოტოს აღება და მასზე შეურაცხმყოფელი წარწერის განთავსება პირად ცხოვრებაში შეჭრა და საჯაროდ გამოტანაა , რაც ჩემს 11 წლის ბავშვს და არამარტო მას, მორალურ და ფსიქიკურ ზიანს აყენებს . პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; პლაგიატი. ვიდეოს სიუჟეტში გამოყენებისას არ იყო მითითებული წყარო და ვიდეოს გადამღები პირი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები